პრე-აქსელერატორების განხორციელების კონკურსი

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინიციატივით, ტარდება რეგიონული პრე-აქსელერატორის პროგრამა საქართველოს 2 რეგიონში (ქვემო ქართლის რეგიონი: მარნეული; სამცხე-ჯავახეთის რეგიონი: ახალციხე). აღნიშნული პროექტი ხორციელდება USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით, „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ პროგრამის ფარგლებში.

პრე-აქსლერატორი გულისხმობს 50-60 ბენეფიციარისათვის ორ-ფაზიან პროგრამას:

I ფაზა: 7 კვირიანი ინტენსიური სამეწარმო ტრენინგების ციკლი, რომელიც დასრულდება დემო დღით. გუნდების მიერ დემო დღეზე იდეების პრეზენტაციის შემდგომ თითოეულ რეგიონში გამოვლინდება 2-2 გამარჯვებული გუნდი.

II ფაზა: 8 კვირის განმავლობაში დისტანციური მენტორშიპის პროგრამა, რომელიც დაეხმარებათ მონაწილეებს დახვეწონ ტექნოლოგიური პროდუქტები და შექმნან განვითარების სტრატეგია.

პრე-აქსელერატორის პროგრამის ფარგლებში უნდა შეიქმნას 2-5 კაციანი გუნდები, შესაბამისად 20-25 გუნდი. პროექტის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, თითოეულ ლოკაციაზე ჩატარებული პრე-აქსელერატორის პროგრამის ფარგლებში გამოვლენილ გამარჯვებულებს, დონორი ორგანიზაციისაგან გადაეცემათ 10 000 ლარის ოდენობის გრანტი (თითოეულ რეგიონში 2-2 გამარჯვებული გუნდი), პროდუქტის პროტოტიპირებისთვის. პროექტის მეორე ეტაპი კი ხელმისაწვდომი იქნება, როგორც აღნიშნული გამარჯვებული გუნდებისთვის, ასევე სააგენტოს 25 000 ლარიანი რეგიონული საგრანტო პროგრამის გამარჯვებულებისათვის (ამავე რეგიონებში), რაც გულისხმობს 8 კვირის განმავლობაში მენტორებთან დისტანციური მუშაობის პროცესს.

პროექტის განხორციელება იგეგმება 2024 წლის მაისიდან ამა წლის დეკემბრის ჩათვლით, 2 განსხვავებულ ლოკაციაზე - მარნეული და ახალციხე.

პრე-აქსელერატორის პროგრამის ძირითადი მიზნები:

- რეგიონებში მცხოვრებ დაინტერესებულ ადამიანებში ინოვაციური აზროვნების, იდეების გენერირების და სტარტაპის შექმნის ძირითადი უნარების განვითარება;
- მონაწილეებისთვის სტარტაპის საწყისი ეტაპის წარმართვის პრაქტიკული გამოცდილების შეძენა, საკუთარი იდეების განვითარების მაგალითზე;
- რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდა ინოვატორების ჩართულობის ზრდა საქართველოს ინოვაციურ და სტარტაპ ეკოსისტემაში და რეგიონული სტარტაპების ფორმირება/განვითარება;
- ახალგაზრდა ინოვატორებს შორის მყარი კავშირების გაჩენა, გუნდების ფორმირება და მათთვის სამომავლო პარტნიორობების უპირატესობების დემონსტრირება, წარმატებული სტარტაპების მაგალითზე;
- საქართველოს რეგიონების ინტეგრაცია ქვეყნის ინოვაციების და სტარტაპ ეკოსისტემაში;

- საქართველოს დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების, რეგიონების ინოვაციების ეკოსისტემაში ინტეგრაცია;
- რეგიონებში GITA-ში არსებული დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმირებულობის დონის გაზრდა; პრე-აქსელერატორის პროგრამის შემდგომ კი კურსდამთავრებულების მონაწილეობა სააგენტოს სხვადასხვა პროექტებში მათ შორის - საგრანტო პროგრამებში;
- რეგიონში არსებულ ტრადიციულ ბიზნესებში ინოვაციური კომპონენტების ინტეგრირება და ქვეყნის თუ გლობალური მასშტაბით მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდა;
- რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების და თავისუფალი სამუშაო ძალის ინოვაციურ სტრატაპ პროექტების გუნდებში ინტეგრირება;
- რეგიონური საგრანტო პროგრამის ბენეფიციარი სტარტაპებისთვის, განვითარების მათზე მორგებული მხარდაჭერა.

შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI):

- **პირველი ფაზის მონაწილეების რაოდენობა:** სულ მცირე 50 მონაწილე თითოეულ ლოკაციაზე.
- **დემო დღეზე წარმოდგენილი გუნდების რაოდენობა:** სულ მცირე 10 გუნდმა უნდა დაასრულოს 7 კვირიანი ტრენინგის ციკლი, დაესწროს დემო დღეს და წარმოადგინოს საკუთარი იდეის პრეზენტაცია.
- **გამარჯვებული გუნდების შერჩევა:** თითოეულ მუნიციპალიტეტში 2-2 გამარჯვებული გუნდის შერჩევა, რომელიც დონორისგან მიიღებს გრანტს.
- **მონაწილეობა GITA-ს საგრანტო პროგრამებში:** პრე-აქსელერატორის მონაწილე გუნდების 80%-მა GITA-ს 25000 ლარიან რეგიონულ საგრანტო პროგრამაზე უნდა გააკეთოს განაცხადი.

მომსახურების მომწოდებელი გამოვლინდება კონკურსის გზით, წინასწარ შერჩეული კომისიის მიერ, რომელსაც დააკომპლექტებენ GITA-ს და UNAG-ის წარმომადგენლები. შერჩევის კრიტერიუმები:

კრიტერიუმი	**ქულა**
ორგანიზაციის გამოცდილება	20
გუნდი (რეზიუმეები)	25
თანხის და ბიუჯეტის დანიშნულება.	15
ძირითადი მახასიათებლები და სილაბუსი	30
აქტივობების გეგმა	10